

რედაქცია: სოლოლაკზე, ზალის ქუჩაზე, შ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. მარჯვ მტკვრეთათვის: Вѣ Тифлисѣ. Вѣ редакцію „Дროზბა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლის—8 მ., ნახევარ წლის—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთს თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე 1 კაპუ, მცირე ასოების ციფრით—5.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეაწილოს დასაბეჭდად გამოგზავნილ სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორსა დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ზალის (სადოვის) ქუჩაზე, შ. შადინოვის სახლში, № 33.

ძალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრისით უნდა დაიბარონ გაზეთი: Вѣ Тифлисѣ. Вѣ редакцію газ. „Дрозда“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდან წლის დამლევამდინ, გაგზავნილი—ხუთი მანეთი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 15 ივლისს სიმლიდამ (ინდოეთიდან) იწერებინან, რომ ინგლისის ელჩი მაიორი ძავენიარი და დანარჩენი წევრები საელჩოსი ავღანის სატახტო ქალაქს ქაბულში მისულან, სადაც ავღანის მმირი იაკუბ-ხანი დიდის პატივითა და დიდებით დახვდრია იმათ. მაიორ პოვანიარს იმავე დღეს წარუდგენია ავღანის მმირისათვის თავის რწმუნებითი ქალაღდები და მმირსაც პასუხად ინგლისთან მეგობრობის დამყარების სურველი გამოუტხადებია.

პეტერბურლის ბირჟა, 18 ივლისს (ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| | |
|-----------------------|-----------|
| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
| პირველი გამოცემის | 95 — |
| მეორე — — — | 94 — 87 |
| მესამესი — — — | 94 — 75 |
| მეოთხესი — — — | 94 — 75 |
| ალმოსავლეეთის პირ. | 92 — 62 |
| ალმოსავლეეთს მორე | 92 — 87 |
| ალმოსავლეეთის, მესამე | 92 — 75 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 8 — 4 |

თფილ. თავაღ-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — „ — „
 შინაგანი 5% სესხის ბილეთები — — —
 მან. კაპ.
 პირველი სესხის — — 233 — 25
 მეორე სესხის — — 233 — 50

1 მანეთი ღირს:

| | | |
|------------------------|----------|---------|
| ლონდონი — — | 24 — 75 | პენსი |
| ბერლინი — — | 125 — | ცენტი |
| პარიჟი — — | 211 — 50 | სანტიმი |
| ვენა — — | 262 — | ჰფენიგი |
| ბავკასიის კერასინი — — | — | — |

საქართველო

დღიური

ჩვენ გვითხრეს, რომ ამ უკანასკნელ დროს ავღანისაკენ ერთობ

გაზმირებულა ქურდობა და ჯიბგირობა. დღისათა ცა ხშირად იპარევენ და აცარიელევენ ჯაბეკა რამდენიმე ოსტატები, რომელთაც შუა-ქალაქიდან იქითკენ გადაიტანეს თავის ხელობათ. თხოულობენ, რომ პოლიციამ მიაქციოს ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება.

* გაზეთის „ქავკასის“ მე-151 ნომერში დაბეჭდილია წესდება იმ საქალეგო საწაველებლისა, რომელიც ახალი ეკზარხოსის მაღალ ყოვლად-სამღვდელო იოანნიკის თაღნობით, იმართება თფილისში ქავკასიის მხრის სამღვდელო პირების ქალგებისათვის. სასწაველებელთან პანსიონიც იქნება. ამ მოკლე ხანში ჩვენ დავბეჭდავთ სრულად ამ სასწაველებლის წესდებას.

* ბოროდამ იწერებინან შემოხსენებულსვე გაზეთში, რომ ბორის უფდის სოფ. ძვემო-ქიზანში თ. ბრ. მრისთვის მამულში უპოვნიათ განძი ყუთით; სულ ორი ათასი მანეთის ოქრო და ვერცხლის მანეთები იყოფა ამ ყუთში. მან განძი, როგორც ამბობენ, ავაზაკი ოსების უნდა იყო. ავკილობრივ მამასახლისსა და გლეხებს უპოვნიათ ეს განძი და დაუტაცნიათ.

ბამოძიება არის დანიშნულია

* სომხურის გაზეთის „მშაკის“ გუშინდელს ნომერში ეფ. რედაქტორი ბრ. პარწრუნი გვაცნობებს, რომ იმას

ფალტონი

მართველ ძალს.

მართლის ქალი—ეითალვის ხე, მკლავ-მხარ-მკერდი განგებ თლილი; თუნდა მოდი, ბრძენო, ნახე, თუ არ არის ვარდი შლილი!

ბროლის ყელსა აშვენებენ ბიშრის თმანი გარდნაფენნი; მათ მკვრეტელთა ახელევენ ის კაეები ბროლ-ლალთ მხევენნი.

მნათობა, ჰმვენის წყნარი სახე, თვალ-წამწამნი გიშრის ფერნი, იგი წარბნი—გველთა სახე, მბილნი თეთრნი, გამჭვირველნი.

მწყლავენ ფერხნი წვრილ-კეკლუცნი; ნახეთ მათნი ცქრიალ-სეღანა!...

მართობ კარგნი ნაზნი ხელნი ბროლის დარნი, მკვრეტელთ მკვლელნი.

მ. ბ—ვი.
1875 წ. 20-ს ივლისს.

მგზავრის შენიშვნები.

მამამადინებულს საქართველოში.

მახსოვს კიდევ და ჩემ დღეშიაც არ დამავიწყდება ის გულითადი სურვილი, რომელიც ჩემში იყო პატარაობიდან დაბუღებული: საშიწლოთ მენატრებოდა ზღვის ნახვა. ეს სურვილი პირველად ჩამივარდა გულში იმ დღიდან, როცა ჩვენმა ოსტატმა აგვისნა და გვიჩვენა კიდევ კარტაზედ, რომ ჩვენი სამშობლო

არ ზღვათა შუა მდებარებს, როცა მან აგვისნა ზღვის მნიშვნელობა კაცობრობის წარმატებისათვის, როცა კიდევ გავიგონე ცხოვრებაში გამოცდილ კაცებისგან, რომ ჩვენი მტუტე ცხოვრება ზღვას ემგზავსებოა. მახსოვს კიდევ ერთი მღვდლის დარიგებებიც, რომლებსაც შეილგებს ეუბნებოდა ხოლმე:

„შვილებო! მაფთხილდით, ცხოვრებას ადვილათ ნუ ენდობით, ის ზღვა არის, სადაც თუ არა კარგი მოცურავე, კაცს საქმე უჭირს!“

მიზღებოდი და ის ნატყრაც თან-და-თან მეზღებოდა.

ბოლოს ბედმა გამიღიმა: ავისრულე ჩემი წადილი: ზღვა ენახე და არამც თუ ზღვა მარტო, არამედ ჩვენი ახალი შემოკრთებული საქართველოც...

ათი საათი იყო დამისა, როდესაც ორ ბღვრიალა თვალეზიანმა ურემმა მიგვიყვანა ქ. შოთში. დიდი მოძრაობა, დიდი

მოუვიდა ვილაც უცნობი პირისაგან ხელ-მოუწერელი წიგნი, რომელშიაც სწერენ, რომ ფრთხილად იყევს, მარტონუ გამოვა შინილამ გარეთ, თორემ მოკვლას გიპირებენო. მეორე დღეს, თითქოს იმის დასამტკიცებლად, რომ იმას არაფრის არ ეშინიან, უფ. პრწრუნი ლამით გამოვიდა შინილამ ბაღში და შენინგის პავილიონში იყო ლამონადის ცივი წყლის სასმელად...

* * ჩვენ შევიტყვეთ, რომ აქაურ სომხურ საზოგადოებისაგან აქტიორებისა და აქტირების მოსაყვანად სტამბოლში გაგზავნილი უფ. ჩიმიშკინი უკვე დაბრუნებულა და ერთი აქტიორი მოუყვანია თან და სამი აქტირისა. სომხებს ტრუპაა ჯერ ვერ შეუდგენიათ; ამბობენ, შემოდგომისათვის შეადგენენ და იმ დროილამ დაიწყება რიგიანად იმათი წარმოდგენებიო.

* * მუთაისილამ გვეწერენ, რომ ამას წინათ იქაურს სატუსალოში ნიათმოყუვა რაჭილამ ერთი ვილაც აწაურნიშვილი, რომელსაც მონის მომრიგებელ მოსამართლისაგან რაღაც დანაშაულობისათვის ერთი კვირით სატუსალოში ჩამწყვდევა ჰკონდა გარდაწყვეტილიო. ამ სასჯელის გარდასახდელად მონილამ მუთაისის სატუსალოში გამოუტანა! ჩვენ გვაკვირებს ეს გარემოება: განა არ შეიძლებოდა, რომ იქვე მონის უეზდის უპრავლენაში დაემწყვდიათ ეს კაცი ერთი კვირით და არ მიეთრიათ ამისათვის მუთაისში?!

„დროების“ კორამსონდენსია

საჩხმამ, 6 ივლისს. ამ თვის ორს, სადილის დროს, მოხდა აქ, მახლობლათ საჩხერისა, ჩხუბი ორ მოწინააღმდეგე მხარეთ შორის. პოზიციის როლს თამა-

შობდა ერთი ყანა, მდებარე სოფელსა შალას. მიმდურები იყენენ აწაურნი აბაშიძეები და დამხდურები-გლეხები შიტაძეები.

ბრძოლა კარგა ხანს გაგრძელდა; ეს იმისთვის, რომ ახალი სისტემის თოფები, რომლებითაც მალე მოელოთ ერთმანეთისათვის ბოლო, არც ერთ მხარეს არ ჰკონდა და ძველმა იარაღმა: ფიშტომ, ტალ-კვესიანმა თოფმა, ხმალმა და ხანჯალმა აწაურების მხრით და კეტებმა გლეხების მხრით ვერ იმოქმედეს უფრო შესანიშნავათ.

ზამარჯვებულნი დარჩნენ აწაურები, დამარცხებულნი — გლეხები.

მეორე დღეს პოლიციამ მოიყვანა ცნობაში რიცხვი დაჭრილებისა: გლეხების მხრით მძიმეთ დაჭრილები არიან თექვსმეტი, რომლებიდანაც დღეს მოკვდა ორი და რამდენიმე სხვებისაც მორჩენას აღარ იმედობენ; აწაურების მხრით კი დაჭრილი არაფერ არის და კეტებით დაბეგვილები ვერც კი ამხელენ თავის სატკივარს.

აწაურების სარდლად იყო, როგორც სთქვეს, ერთი ახლგაზდა აფიციარი, რომელსაც სამხედრო საქმეში გამოკდილება წარსული წლების ომის დროს მიუღია შაეს-დასხმის დროც სწორეთკარგი გამოერჩიათ: როდესაც პურის მომკლები გლეხები სადილათ იჯდნენ და შეეცქვიოდნენ; მაშინ მიდგომოდნენ შტურმით და კიდევაც აიღეს ციხე-ქალაქი!..

ნაშოვრათ დარჩათ გამარჯვებულებს რამდენიმე ძნა მომკილი პურისა და რამდენიმე მოუმკელიცა. შემდეგ ამისთანა გამარჯვებისა, გამარჯვებულებმა ნება მისცეს დამარცხებულებს თავისი დაჭრილები წაეყვანათ.

ზამომძიებელიც ემზადება გამოძიებისათვის და იმეღია, ამ მცირე ხანში კიდევაც შეუდგეს.

მიზეზი ამისთანა გამოჩენილი ბრძოლისა აყო სადაო ადგილი, რომელიც 2 ივლისს საკმაოთ მოისყარა სისხლით და

რომელიც ერთხელ დაიწინა სასამართლომ, საბუთის ძალიდ, გლეხებს, მკვლამ, რადგანაც იმ გარდაწყვეტილებაზე წინააღმდეგი მხარე არ დათანხმდა, შემდეგ ის ადგილი ხან ერთ მხარეს ჩაბარდება და მეორეს გამობარდება და ხან მეორეს ჩაბარდება.

რადგანაც საქმის დაბოლოებას და მითანა გარდაწყვეტილებას, რომლითაც ორივე მხარე კმაყოფილი დარჩენილყენენ, ვეღარ ელირსნენ, ამისათვის იხმარეს ზემო-აღწერილი საშუალება...

საჩხერელი.

თეატრი

ქართული ტრუპა ბათუმში.

მოუთმენელი ლოდინის შემდგომ, დიდის სიამოვნებით ვეღარსეთ ბათუმში ქართული ტრუპის მოსვლას.

შნდა მოგახსენოთ რომ ეს სახარული უფრო ქართველებს გვეკუთვნის, რადგანაც ცოტა არ იყოს, ერთი-ერთმანერთზე ქართველების მოთაობით ბათუმში ახლათ სცენის გაკეთებამ და სპექტაკლების გამართვამ ბევრს სიშურვილი მოჰკვარა...

ბუშინ ლამე პირველი წარმოდგენა იყო ქართული ტრუპისაგან „პრტაანის“ სასტუპროს ბაღში ახლათ გაკეთებულ სცენაზე. ითამაშეს: „ძალათ ექიმო“ თხზულება (?) თ. შ. მრისთავისა და „აყალ-მაცალი ცოლ-ქმარს შუა“; იყო ამას გარდა ქართული სიმღერები ხორით და შემდგომ მარტონ. ბაბუნიას ქალმა თარზე ქართულათ იმღერა.

საზოგადოებამ დიდის აღტაცებით მიიღო ჩვენი ახალი ტრუპა. დავსწრნენ თითქმის ყველანი გამოუკლებლათ. ბათუმის საზოგადოების-და-გვარ ბლომათ იყენენ მაყურებლები, და თუ იმისათვის

ფაცა-ფუცი შეუდგათ სტანციაზე მყოფ ხალხს; მუშა მეგრელები თავისებურად მარდათ დატრიალებენ სტანციაზე; ომიდგან დაბრუნებულ გმირებს, მოკაზმულებს, ზიზილ-პიპილოებით შემოსილებს ხმლის ქხარა-ქლური გაჭკოდათ. ბოლოს სტანცია დაცარიელდა; ყველანი წავიდწამოვიდნენ. ჩამოვარდა ქალაქში სიჩუმე; მარტოთ ერთს რაიანს გაჭკონდა შჩიალი და მიეშურებოდა ზღვასთან შეერთებას და მარტო უსულლო საგნები აძლევდნენ მას ბანსა. ჩვენც ვიშოვეთ ბინა და დავისვენეთ...

მეორე დღეს მშვენიერმა გაზაფხულის დიდის ნიაგმა დაჭქროლა და იწყო გაგრილება შოთის ჰაერისა. მზემაც თავისი ძრიელი სხივებით დაუწყო თამაში ქალაქის არემარეს.

ამ მშვენიერ დილას გამოვედი გარეთ და დავყურებდი ხალხის მოძრაობას, მეტადრე აქაურ ვაჭრებს ვადევნებდი თვალს.

რამდენათც შევნიშნე, მეგრელ-ვაჭრებსა მსომხის ბმევაჭრებ შუა ბევრი განსხვავება: ეგრელთა ვაჭრობაში ისე საძაგლათ არ იციან ჩაცივება, როგორც ჩვენში, მიკირტუმებმა იციან: ეტყვიან ნამდილ ფასს, იყიდი—კარგი, არ იყიდი—შენ შენთვის, ის თავისთვის. ამ კარგ თვისებასთან ერთი ცული თვისება აქეთ აწონაში და ფულის ანგარიშში, თუ საკბილო ჩაიგდეს, საშინლათ ატყუებენ. მაგრამ ეს მარტო მეგრელი-ვაჭრების განსაკუთრებითი თვისება არ არის...

მაგრამ „დროების“ ქართველ მკითხველებს შოთის გაცნობა არ ეჭირებათ, რადგან ყველას ეცოდინება. ამიტომ ჩემ საგანს დაუახლოვდები.

მთელი ეს დღე სულ სიარულში გავატარე. მეორე დღეს კი უნდა წავსულვიყავ ბათუმში გემით ДѢДУШКА-თი. ბილეთები აღებულნი გქვონდა. წასასვლელათ მზათ ვიყავით.

მაგრამ კაპიტანს ღურბინდში მითომ მეელანდა რამე, აღარ წავვიყვანა: ზღვის ღელვა არისო, როდესაც სხვა გემები მშვიდობით მიდიოდნენ. პასაჟირები ამბობდნენ: ამისთანა მშვიდობიან ზღვას არ შევსწრებვიართო, როგორც დღეს შევხვდითო. ამ დარჩომამ ისე არაფის მოსწყვიტა წელი, როგორც ერთ გაბერილ ჩინოვნიკს.

— ეს ერთი კვირაა აქა ვვადვარ, ფული მეხარჯება ტყუილ-უბრალოთათ და წასვლას ვერ ველირსყო. პარილის ჯამაგირი აულებარი დამჩრაო!..

მე კი მეგონა იმისთვის სწუხს მეთქი, რომ სამსახურს მოვაკლდიო, ის ჯამაგირს ნანობს..

ბემის წაუტვლოლობას ის ჩინოვნიკი და მასთან სხვებიც იმითი ხსნიდნენ, რომ გემში რაღაც საქმელებს აკეთებენ, დავარჩუნეს, რომ ფულები ეხარჯოთ საქმელშიო. არ ვიცი ეს ცილის-წამება,



დაგვემღერებინა, რომ შემოსავალი მათ შრომას ღირსეულად ვერ დააჯილდოვებს, იმ შემთხვევაში სამღურავე უსაფუძლო იქნება, რადგანაც, დიდი სიცხეების გამო, ბათუმთან მომეტებული ნაწილი მცხოვრებლებსა წასული არიან; იმედს ვიქონიებთ, რომ ამნაირ მიზეზს სახეში იქონიებენ და მეორეჯერ მოსვლისათვის ამ მიზეზს თანაუგრძნობლობას არ მიაწერენ.

რაც შეეხება როლების თამაშს „ძალად ექიმში“ მათუა მგევაქეს (უფ. პ. შიფიანი) კარგათ თამაშობდა; ერთიორი ასეთი უბრალო ნაკლულევანება შევნიშნეთ, რომ იმათი დასახელებაც არა ღირს; სხვათრიგ უნდა ესთქვათ, რომ ნიჭიერი მოთამაშე ყოფილა. მტყობობდა, რომ, თამაშის დროს, ის სხვა არაფერს ჰფიქრობდა, გარდა იმისა რომ საზოგადოებისათვის ნამდვილი მგევაქეს მათუა გამოეხატა და მასთანავე ძალათ ვამხდარი ექიმი.

სოლი მათუასი ნანუა (ნ. ბაბუნია) ისე იყო, როგორც საჭარო იყო, თუ სახის მტყველობა და თავის ქრისათვის ჯავრის გადახდის დროს, მიხერამოხერა არ დაეკლო.

მსახურნი გლენი ლუკა და შოა (პ. საგარელი და მ. შიფიძე) ისე მშვენიერათ იყვნენ, რომ დიდი ქების ღირსნი არიან ასე მშვენიერათ როლების შესწავლისათვის; ორივეს კარგათ გაუგია თავისი როლების აზრი და შინაარსი; განსაკუთრებით უფ. შიფიძე ისე მშვენიერათ ახერხებდა, რომ გვეგონებოდათ—თუ ეს ნამდვილი ხეპრე გლენია, ან ეს ამ როლისათვის არის გაჩენილი. მთუ უფ. შიფიძე სხვა შესაფერ როლებსაც ასე ნიჭიერად თამაშობს, შემიძლია თამამად ესთქვა, რომ ეხლანდელ მოთამაშეებში ამას ერთი პირველთაგანი ადვილი და სახელი უნდა ექიროს.

მ. ივანე ლანხელი (ზ. მაჩაბელი) საკმარისათ კარგა ითამაშა და ნამდვილად გამოგვინახა ძველებური დარბაისელი

ქართველი. მელანაის საყვარელი თ. ლევანი (ნ. შიფიანი), როგორც პირველათ სცენაზე გამოსულმა ყმაწვილმა კაცმა, შესაფერათ რიგინად შეასრულა; მაგრამ ბოლოს რაღაც გაეცინა. ამასვე სასიამოროსთან ლაპარაკის დროს ერთი პატარა შეცდომა რომ არ მოეხდინა, ვიტყვოდით, რომ „ბრაო“, კარგათ შეუსწავლიათქო. ეს პატარა შეცდომა გახლავს ის, რომ თავის სასიამოროს ახარა „ბაძა ჩემისაგან წიგნი მივიღე, ბიძა ჩემი მომკვდარაო“.

ზასათხუარი ქალი მელანია, როგორც ახალი დროის თავის ბედზე თავისი გულით და სურვილით მსჯელი ყმაწვილი ქალი, მშვენიერათ გამოგვინახა მ. შიფიანსამ.

მართას, მელანაის ძიძის როლში მ. პორინთელისა თუშკ კარგი იყო, მაგრამ სითამამით და მიხერამოხერით ახლანდელ დროს ძიძებს უფრო ჩამოჭავდა მიწამ იმას, რომელი დროს ძიძაც ჰყავდა წარმოსადგენი.

„ბუალ-მაკალი ცოლ-ქმარს შუა“ მ. საფაროვის ქალმა და უ. მ. აბაშიძემ, ახალ ჯვარ-დაწერილებმა, ძრიელ მშვენიერათ ითამაშეს; სჩანდა, რომ იმათ ესმოდათ—რა არის რომელიმე პირის წარმომადგენელი მოთამაშე. ჩვენ მართა ის შევნიშნეთ, რომ საფაროვის ქალს რაღაც უადგილო განაზება ეტყობოდა, და ვისაც ერთჯერ კიდევ ენახათ ეს ნიჭიერი მოთამაშეები ამ ვადეილის წარმოდგენის დროს, ისინი ამბობდნენ რომ მიწამდინ ჯვარ-დაწერილები იყვნენ, ამ როლებს უფრო ენერგიულათ და კარგათ თამაშობდნენ, და ძრიელ სწუხდნენ, რომ ახალმა შეთვისებამ გლახა შთაბეჭდილება არ მოახდინოს და სხვა დროს სხვა როლებში არა ჩვეულებრივი უგულობა არ დაეტყოსთო. წარმოდგენილი ვადეილებისაგან ბევრის სევდიან და უხილავი ძალით დაბმულ გულებზე გადაფარებული შავი ღრუბლები გადასწმიდა უკანასკნელათ ფარდის ახლამ და წინააღმდეგობის ქართულ ტანისამუსლი კდერის ეღრილით გამოჩენამ. მითქმის ყველას სახეზე აღმული იყო ანთებული და ყველა მშვენიერი ხმის გასაგონლათ; იმ წამს ბევრი იმას ნატრობდა, რომ, ორი თვალის მაგიერ, ათი თვალი ჰქონოდა და ორი ყურის მაგიერ, ოცი ყურები... მჰ! თუ რა ხმა იყო ის მშვენიერი ხმა, რომელმაც პირველისავე ამოშვებით ბევრის გონება უგრძობლათ გაიტაცა „სუბუქ ფრთითა, ბრაფოს“ ძახლს და ტაშის კვრას ყურები ჰქონდა წაღებული, იქამდე აიტაცნენ ზოგიერთები, რომ უკანასკნელი მადლობის თქმისათვის ადგილზე ბიძამ წამოხტნენ და სცენაზე მიიჭრნენ.. ხალხი დიდის მადლობით და კარგის შთაბეჭდილებით დაბრუნდა წარმოდგენიდან. ეს კმაყოფილება და მადლობა უფრო ბაბუნიას ქალის მშვენიერი ხმით ნათქვამ სიმღერებს ეკუთვანის..

ბათუმელი.

ბ. თუში, 13 ივლისს.

ნარკვი

მრთს ფრანგულ გაზეთში დაბეჭდილია მგვიბტიდამ მიღებული წერილი, რომლიდამაც ეტყობულობთ, რომ ახალის ქედის მთიკ-ფაშის დედა (ვალიდე) ჩუშმეტ-აჭიზეს კავკასიელი ყოფილა, სახელდობრ ახანის ქალი. ამის მამა ახალციხის მახლობლად ერთი ოსმალოს შკოლის მასწავლებლად და მეჩითის მუეძინად ყოფილა. ირაჰიმ-ფაშას თავის შვილის იხმაილ-ფაშისთვის უყიდნია ეს ქალი ტრაპიზონში, საცა იმ დროს მონების ვაჭრობა იყო. ეს ქალი ძალიან უყვართ თურმე მკვიბტეში, რადგან უბრალო ხასიათის ქალია და ხალხის განათლებისათვის ზრუნავს მუდამაო.

თუ ნამდვილია! ისიც არ ვიცი—თუ რა დამოკიდებულება აქვთ საჭქელის მკეთებელს კაპიტანთან და სააგენტოსთან...

როგორც იყო მეორე ღღეს წასვლა გვეღირსა. ზემი ხენეშით და ვაი-ვაგლახით შეცურდა ზღვაში, დიდის გამარჯვებით ასცილდა იმ სამაგელ ალაგს, სადაც რიონისა და ზღვის ტილღები გაილაშქრებენ ხოლმე ერთმანეთზე და გაგვაქანა ბათუმისკენ.

შოთი თან-და-თან თვალიდგან გვეკარგებოდა; რაღაც ნაირი ფეხად-ფერადი ღრუბლები ეთამაშებოდნენ მის არე-მარეს. პანდელიც კი, როგორც ჩვენი ხილხი მაიაკს უწოდებს, რომელიც ბევრი ხანი არ გვმორღებოდა თვალიდგან, ისიც კი შემოსწყრა ჩვენ ცოდვილ თვალებს. ღარჩათ ბურთი და მოედანი ზღვისაგან გამოგზავნილ ღრუბლებს.

თან-და-თან შევდიოდით შუა ზღვაში;

ზღვის დაუწუნარებელი ტალღები ბევჯერ შეეტკა Дѣдушка-ს დასამარცხებლად. ზემმა როგორც იყო გაუძლო, მაგრამ შიგ მჯდომი ხალხი კი ძალიან დაამარცხა; ერთს აღარ გველა ფერი: ერთიერთ კუთხეში მიწვა და რაღაც ხენეშა გაჰქონდა, მეორე მეორე კუთხეში მიწოლილი „ვაი დედაე!“ იძახოდა. მაგრამ ყველაზე საშინელ-საცოდლობაში იყო ჩვენი სხილი ჩინოვნიკი სულყველაფერი გადაავიწყდა: აპრილის ჯამაგირიც და სუყველა. მალ-მალ ქალის ხმით წამოიძახებდა ხოლმე:

—მჰ, ცივილიზაციაე! სუყველაფერი დაიმონვე; ბუნება თითქმის შესცვალე: მაგრამ ამ ზღვის დამონაეება კი ველარ მოახერხე!

—დამონაეება არ არის, მა რა არის! შურობ ამ ქოფაქ ზღვაში როგორ ვსერირობთ! გამოიძახოდა არ დამარცხებულ კაპიტანის ბიჭი.

როგორც იყო გაეთავისუფლდით ზღვის ტალღებისაგან. მიუახლოვდით ბათუმსაც. აი მოჩანს კიდევ ის ქალაქი, რომელზედაც, როგორც გამოგონია, უკვდავმა რუსთაველმა სთქვა:

ზღვა გაიარა აუთანდილ, მივა ტანი-თა მჭევრითა; ნახეს ქალაქი მოცული გარე ბალისა ტევრითა, გვართ უცხონი ყვაილნი, ფერთა ბევრის ბევრითა, და მის ქვეყნისა სიტურფე რაგაგონო შენ რითა.

ზადმოვედით ხენეშით და ვაი-ვაგლახით გემიდგან. ძლივს თავისუფლათ ამოვისუნქე. ჩვენმა ჩინოვნიკმა ეხლა კი გაიღიმა...

ბ. ნ—ძე.

(შემდეგი იქნება)

